პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
შაბათი, 20 სექტემბერი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 603 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

კომინტერნის მოწოდება.

1-ლი ინტერნაციონალის მესამოცე წლის თავზე.

60 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რომ დაარსებულ იქნა „საერთაშორისო მუშათა ამხანაგობა“—ეს პირველი საბრძოლო ორგანიზაცია მუშათა კლასისა.

ამ ორგანიზაციაში გამოტანილ იქნა პირველად ლოზუნგები, რომლებშიაც კარლ მარქსმა „საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის“ პირველ მანიფესტში აღნიშნა რევოლიუციონური ბრძოლის უმაღლესი მიზანი და შინაარსი: **„პოლიტიკური ძალაუფლების მოპოება—პირდაპირი მოვალეობაა მუშათა კლასისა“, „მუშათა კლასის განთავისუფლება—თვით მუშათა კლასის საქმეა“.**

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთ ქვეყანაში შესძლო პროლეტარიატმა განეხორციელებია 1-ლი ინტერნაციონალის ანდერძი: **პოლიტიკური უფლების ხელში ჩაგდება და საძირკვლის ჩაყრა სოციალიზმის დიადი საქმისათვის.**

დანარჩენ ქვეყნებში პროლეტარიატი აწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას კაპიტალისტური მონობის მოსასპობად.

ამ ბრძოლას ხელმძღვანელობს კომინტერნი—კანონიერი მემკვიდრე [illegible] ორგანიზაციისა, რომელიც შექმნა 60 წლის უკან კარლ მარქსმა.

დღეს საერთაშორისო მუშათა კლასი აწარმოებს დაუღალავ ბრძოლას არა მარტო თავის ძველის-ძველ კლასიური მტრის—ბურჟუაზიის წინააღმდეგ- მას ჰყავს კიდევ მეორე მოწინააღმდეგე მე-2-ე ინტერნაციონალი, რომელმაც გასვარა 1-ლი ინტერნაციონალის ძველი საბრძოლო ლოზუნგები.

და დღევანდელ მე 60-ე წლის თავზე მე 2-ე ინტერნაციონალი შეეცდება ჩირქი მოსცხოს 1871 წლის პარიზის კომუნის ნათელ სახეს. ის შეეცდება ჩაატაროს სიძულვილისა და ცილის წამების კამპანია პროლეტარული რევოლიუციისა და მის მიერ აღმოსავლეთში შექმნილ პროლეტარულ ბურჯის წინააღმდეგ. მაგრამ ეს უსუსური ცდები დაიმსხვრევიან მსოფლიო პროლეტარიატის შეუდრეკელ თავდადების კლდეზე, რომლითაც ისე მტკიცედ იცავს ის რუსეთის რევოლიუციას.

ნებისყოფა მსოფლიო მუშათა კლასისა, რომელიც ილტვის რუსეთის რევოლიუციის გზით, აღგვის დედამიწის ზურგიდან ცილის მწამებელთ.

დღევანდელ ხანაში კაპიტალიზმმა განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. იმავე დროს ეს ხანა მისი დაცემის დასაწყისია. ძირმომპალი და საძირკველ შერყეული კაპიტალიზმი მიექანება თვით განადგურებისაკენ.

მაგრამ დღეს იმპერიალისტური სახელმწიფოები უკვე აღარ ელოდებიან იმას, თუ როდის მოკვდება მუშათა კლასი შიმშილითო.

ფაშიზმი და მისი მარცხენა ფრთა—მსოფლიო სოციალ-დემოკრატია-აი ის ახალი იარაღი, რომლის შემწეობითაც ანადგურებს ბურჟუაზია მუშათა კლასის რიგებს.

მე 2-რე ინტერნაციონალის ღალატმა, რომელიც კავშირში შევიდა ბურჟუაზიასთან გაჰყო მუშათა კლასი ორ ბანაკად. ბურჟუაზიას მსხვერპლად იქნა მიტანილი მუშათა კლასის ერთი უდიდეს მონაპოვართაგანი-პროფკავშირთა მოძრაობის მთლიანობა.

მსოფლიოს მუშებო! 1-ლი ინტერნაციონალის მესამოცე წლის თავზე—მისი საქმის განმაგრძობი-მე 3-მე ინტერნაციონალი მოგიწოდებთ თქვენ იბრძოლოთ პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

არას დროს არ ყოფილა მუშათა კლასის გაერთიანება ისეთი საჭირო, როგორც დღეს.

დემოკრატიული პაციფიზმის ერა მხოლოდ ნიღაბს აფარებს ახალი ბრძოლებისა და კოლონიების და ჩაგრულ ერების მტაცებლურ ყვლეფის სამზადისს.

რევოლიუციონური მთლიანობა ყველაზე დიადი საქმეა.

მხოლოდ რევოლიუციონური მარქსიზმის მოძღვრება, რომელიც მუშათა კლასის დიდ სტრატეგიად ხდება იმპერიალისტურ ხანაში და რომელიც უანდერძა მუშათა კლასს ლენინმა, ნებას მოგვცემს ჩვენ შევასრულოდ ჩვენი მსოფლიო ისტორიული მისია.

მხოლოდ კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობით შესძლებს მუშათა კლასი თავის დიქტატურის განმტკიცებას.

იბრძოლეთ პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებისათვის. შემოკრიბეთ რიგები მსოფლიო რევოლიუციის ბურჯის საბჭოთა კავშირის გარშემო. დაიცავით გერმანიისა და ბალკანეთის პროლეტარიატი, რომელიც გმინავს თეთრი ტერორის დევნის ქვეშ.

გაუმარჯოს მოქმედების ინტერნაციონალს!

ყველა 1-ლი ინტერნაციონალის საბრძოლო დროშის ქვეშ, რომელიც მტკიცედ უჭირავს თავის ხელში მე-3ე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამხედრო-პოლიტიკურ სკოლისაკენ.

მთავარი საფუძველი, რომელზედაც შენდება წითელი არმია მოითხოვს თვითეულ წითელ არმიელის მომზადებას, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში.

წითელი არმია არ არის უბრალო შეიარაღებული ცოცხალი ძალა.

ყველა წითელი არმიელი პირველად ყოვლისა არის და უნდა იყოს რევოლიუციონერი. ამას მოითხოვს მისგან მუშურ-გლეხური ხელისუფლების სული და გული; ამას მოითხოვს მისგან მუშისა და ღარიბ გლეხის ინტერესები.

წითელი არმია მღვდლის ვერცხლის ჯვრის გადასახვით და „ნაკურთხი წყლის“ პკურებით არ უპირდაპირდება თავის მოსისხლე მტერს—მდიდრებს და მემამულეებს.

იგი უპირდაპირდება მათ კლასიური მდგომარეობის შეგნებით.

წითელი არმია მუშებისა და ღარიბი გლეხებისაგან შესდგება.

მდიდრები ყოველთვის მოსისხლე მტრები იყვენ მუშების; მტერი არიან წითელი არმიისაც.

რომ ბრძოლა თავდადებულად და შეგნებულად შესძლოს წითელმა არმიამ—იგი უნდა იყოს სათანადოთ გარკვეული თავის დანიშნულებაში და მოვალეობაში.

ამისათვის კი საჭიროა მისი პოლიტიკურად გაწრთვნა და აღზრდა.

ამ პოლიტიკურ აღზრდას დიდი ყურადღება ექცევა საბჭოთა მთავრობის მიერ.

ამ საქმის შესრულება, თანახმად დღეს არსებული წესებისა, დაკისრებულია ნაწილის პოლიტიკურ მომუშავეთა შემადგენლობაზე.

ესენი არიან კომისრები და პოლიტიკური ხელმძღვანელნი.

პოლიტიკური განყოფილება ამ ამხანაგებს ღებულობს პარტიის ცენტრალურ კომიტეტიდან.

მაგრამ ბევრი ამხანაგის მიღება შეუძლებელია. გასაკეთებელი კი ბევრია.

აი სწორეთ ამისათვის არსებობს პოლიტიკური სამხედრო სკოლა.

თვითეული ნაწილი დაინტერესებული უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი, პოლიტიკური მომუშავე გამონახოს თავის საკუთარ წრეში—ნაწილის ფარგლებში.

ასეთი ამხანაგები უნდა გადიგზავნონ პოლიტიკურ სკოლაში.

რაც უფრო ბევრ ამხანაგს აღვზრდით ჩვენ ჩვენსავე წრიდან, მით უფრო შევუმსუბუქებთ პარტიულ ორგანოებს მუშაობას.

მეორე მხრით მით უფრო კარგათ მოვაწყობთ ნაწილის პოლიტიკურად აღზრდას.

ერთი სიტყვით პოლიტიკურ სკოლაში ამხანაგების წავლინება მრავალ მხრივ გვაინტერესებს ჩვენ.

ამიტომ ყველა ნაწილის სამხედრო კომისარი ვალდებულია ეხლავე იფიქროს ამაზე.

საჭიროა სკოლაში გავგზავნოთ მონდომილი და ენერგიით აღსავსე ამხანაგები.

ასეთი ამხანაგების წავლინებით ჩვენ მივიღებთ სათანადოთ მომზადებულ პოლიტიკურ მუშაკთ.

და ამ რიგად მიხწეულ იქნება მთავარი ჩვენი დასახული მიზანი: ჯარის მომზადება, როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო დარგში.

რადიო-დეპეშები.

ბრძოლა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების გარშემო.

ინგლისის მუშათა პარტიის ცნობილმა ბელადმა მინისტრ კლაინსმა განაცხადა:

ჩვენ დახმარებას ვუწევთ როგორც ძველ მეგობრებს, ისე ძველ მტრებსაც, თუ მათი მთავრობა ჩვენ მიერ ცნობილია. სესხის დიდი ნაწილი, რომელიც ეძლევა საბჭოთა კავშირს, დახარჯულ იქნება ჩვენს ქვეყანაში. ათასობით უმუშევარი ჩვენში მიიღებს სამუშაოს.

ბრიტანეთის სავაჭრო პალატების ასოციაციის აღმასრულ. კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც წინადადება ეძლევა პარლამენტს უარჰყოს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დამტკიცება.

ბრიტანეთის მრეწველობის ფედერაციაც წავიდა ხელშეკრულების წინააღმდეგ.

ფედერაცია იმედს გამოსთქვამს რომ პარლამენტი არ დაამტკიცებს ხელშეკრულებასო.

მისი აზრით ხელშეკრულება არაფერს არ მოუტანს ინგლის-საბჭოთა ვაჭრობას და ზიანს მიაყენებს ინგლისის სავაჭრო ურთიერთობას სხვა ქვეყნებში.

უნგრეთის შეთანხმება საბჭოთა კავშირთან.

საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში კრესტინსკიმ და უნგრეთის დელეგაციამ მინისტრ კაციას მეთაურობით ხელი მოაწერეს შეთანხმებას დიპლომატიურ და ეკონომიურ ურთიერთობის განახლების შესახებ საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს შორის.

მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია ლონდონში.

ლონდონში მოხდა ბრიტანეთის სხვა და სხვა კუთხის მუშათა ორგანიზაციების დელეგატთა კონფერენცია. მონაწილეობას ღებულობდენ აგრეთვე ინგლისის მუშათა პარტიის, პროფკავშირთა საბჭოს და მუშათა პარტიის პარლამენტარულ ფრაქციის წარმომადგენლები.

კონფერენციამ დაადგინა შექმნას განსაკუთრებული კომისია იმ საკითხების გასარჩევად, რომლებიც ეხებიან ავტონომიურ ქვეყნებს და ყველა ქვეყნის მუშათა ორგანიზაციებს, რომლებიც შედიან ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში. საჭიროა გამოძებნილ იქნას საშუალებანი ავტონომიურ ქვეყნების ჩასაბმელად საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

კონფერენციაზე ძმურად შეხვდა ბრიტანეთის გვიანის დელეგატ ზანგებს.

კონფერენციამ აირჩია თავმჯდომარედ ლენსბერი.

ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის კომისიაში.

ერთა ლიგის კომისიის სხდომაზე სხვა და სხვა სახელმწიფოს დელეგატებმა მიიღეს საფრანგეთ-ინგლისის პროექტი სავალდებულო არბიტრაჟზე (სამედიატორო სასამართლო).

პროექტის თანახმად ინგლისი და საფრანგეთი გამოიყენებენ მთელ თავიანთ ძალებს, თუ რომელიმე სახელმწიფო დაარღვევს წესებს არბიტრაჟის შესახებ.

პეტრუშევიჩის გამოსვლა.

უკრაინის მოღვაწემ პეტრუშევიჩმა შეიტანა ერთა ლიგაში მემორანდუმი, რომელშიაც უარყოფს პოლონეთის უფლებას აღმოსავლეთ გალიციაში.

მემორანდუმი მოითხოვს საკითხის განხილვას აღმოსავლეთ გალიციის შესახებ და მის გადაჭრას თანახმად ერთა ლიგის დებულების მე-19-ე მუხლისა.

გერმანია.

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები.

სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების კომიტეტმა წინადადება მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს მიიღონ ზომები, რათა 21 სექტემბრისთვის დანიშნული ომის საწინაღმდეგო მანიფესტაცია ჩატარებულ იქნას „სერიოზულად და შთამაგონებლად".

ლიუდენდორფები და გიტლეროვცები.

მიუნხენის პოლიციამ აუკრძალა მოქმედება ლიუდენდორფის მიერ შედგენილ ყოფილ ფრონტოვიკების ჯგუფს და დააპატიმრა ამ ჯგუფის 6 თვალსაჩინო მოღვაწე.

ხმებია, რომ პოლიციის გამოსვლები დაკავშირებულია გიტლერების მომხრეების განზრახვასთან მოახდინონ გადატრიალება იმ შემთხვევაში, თუ რომ გიტლერი არ იქნება განთავისუფლებული ციხიდან 1-ლ ოქტომბრამდით.

ვოლფის ცნობა საქართველოს ამბების შესახებ.

„ფოსიშე ცეიტუნგს" მოჰყავს პირველ გვერდზე საბჭოთა ოფიციოზური ცნობა, რომელიც აღნიშნავს არასასიამოვნო შთაბეჭდილებას, როგორიც გამოიწვია გერმანიის პრესაში მოთავსებულმა ყალბმა ცნობამ საქართველოს ამბების შესახებ.

ვოლფის სააგენტომ 18 სექტემბერს გამოაქვეყნა ცნობა „აჯანყების სრული ჩაქრობის შესახებ".

ჰიდენბურგის ყრილობა.

ამ დღეებში ჰინდენბურგში (ზემო სილეზიაში) მოხდა კომპარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებისა და ოპოზიციურ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფთა გაერთიანებული ყრილობა.

გერმანიის კომპარტიის ცეკას სახელით ილაპარაკა **ვილგემ პიკმა**, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა გაერთიანების მნიშვნელობა.

ოპოზიციის ჯგუფის სახელით ილაპარაკა ქალაქ გლეივიცის ხმოსანმა გეორგ ზაიერმა. მან აღნიშნა, რომ ჩვენ იმედი გვქონდა სოციალ-დემოკრატიული პარტია შეიცვლიდა პოლიტიკას, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ს. დემოკრატების ბელადები ავტორები არიან ლონდონის შეთანხმებისა, რომელიც მიმართულია გერმანიის პროლეტარიატის დამონავებისაკენ.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სასტიკად გმობს დოუესის გეგმას და სოციალ-დემოკრატიის „რესპუბლიკანულ ფლაგის კავშირს", რომელიც იცავს კაპიტალისტების ინტერესებს. რეზოლიუცია მოუწოდებს ყველა ოპოზიციურ ს. დემოკრატიულ ჯგუფებს შეუერთდენ კომპარტიას.

ყრილობამ ზეიმით ჩააბარა წითელი დროშა, რომელიც გაგზავნილი იყო მოსკოვის მელითონეების მიერ.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

ინგლისის და ამერიკის წინადადება.

ინგლისმა და შეერთებულმა შტატებმა შეიტანეს წინადადება იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩინეთის საქმეებში ჩარევის შესახებ.

პირველი შეტაკება.

ჩაო იანის ახლოს მოხდა პირველი შეტაკება ჩაკილის, პეკინის და მუკდენის ჯარებს შორის. შედეგი გამოურკვეველია.

ან-კუის პროვინციის ჯარები გადავიდნენ შეტევაზე ლიუ-იუნგ-სპანის ჯარებისაკენ. მატარებლები ჩერდებიან 6 მილის მანძილზე შანხაიდან, ვინაიდან რკინის გზა აყრილია.

ამხ. ვოროვსკის მკვლელის კონრადის დაპატიმრება.

გავასის სააგენტოს ცნობით ჟენევაში დააპატიმრეს ვოროვსკის მკვლელი კონრადი.

დაპატიმრება მოხდა იმ დროს, როცა კონრადი სცდილობდა ორი მოცეკვავე ქალის მოკვლას. როგორც გადმოგვცემენ კონრადი მოქმედებდა კოკაინის გავლენის ქვეშ.

პეკინის მთავრობის ნოტა კარახანს.

პეკინის მთავრობამ გაუგზავნა კარახანს ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჩჟან-ცზო-ლინის და სხვა გენერლების არმიაში მონაწილეობენ რუსეთის მფრინავები პეკინის მთავრობის წინააღმდეგო.

საპასუხო ნოტაში კარახანი აღნიშნავს, რომ ეს ხსენებული მფრინავები არ არიან საბჭოთა კავშირის მოქალაქეები. ისინი არიან თეთრგვარდიელთა ბანდების ნაშთი, რომელთაც დახმარებას უწევდა პეკინის მთავრობა.

ნოტაში ნათქვამია „ვინაიდან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს არ აქვს განსაკუთრებული ადმინისტრაიული უფლებები ჩინეთში, ჩინეთის მთავრობამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები აღნიშნულ მფრინავთა მიმართ".

იაპონია და საბჭოთა კავშირი.

პროვოკატორები ტოკიოდან.

იაპონიის ზოგიერთ გაზეთებში, მათ რიცხვში მილიტარისტულ გაზეთ „იოროდზუ"-ში გამოქვეყნებულია ცნობა, რომლის თანახმად კარახანი იცავს დაუთმობ პოზიციას იაპონიასთან მოლაპარაკებაში, ვითომდა იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირი განიცდის საშინელ შიმშილობას.

ეს ცნობა შედგენილ და გაგზავნილ იქნა ყველა გაზეთებში იაპონიის სამხედრო სამინისტროს მიერ.

საბჭოთა ფედერაციაში

„ხელები შორს ჩინეთისაგან".

საზოგადოებაში „ხელები შორს ჩინეთისაგან"—ამ ჟამად უკვე 30.000 წევრი ითვლება. ამ რიცხვში არ შედის მოსკოვის პროლეტარიატი, რომელთა შორის ეხლა იწყება კამპანია საზოგადოების წევრების მოსაკრებად.

ახალგ. კომინტერნის ალმასკომმა დაადგინა შევიდეს საზოგადოებაში და მიმართოს მთელი ქვეყნის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას მოწოდებით იმპერიალისტების ძალმომრეობის წინააღმდეგ ჩინეთში.

ლენინგრადის პროლეტარულმა სტუდენტობამ გაუგზავნა ჩინეთის სტუდენტობას წერილი, რომელშიაც გამოსთქვამს იმედს, რომ ისეთივე ენერგიით, როგორითაც ისინი მოქმედებდენ ჩინეთის მთავრობის პასიურობის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში, იბრძოლებენ ჩინეთის დამონების წინააღმდეგ.

მასწავლებელთა დემონსტრაცია.

კიევის გუბკომის შენობასთან მივიდა კიევის მასწავლებლობის დემონსტრაცია. მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მათ რიგში კომპარტიის თანამგრძნობ პირთა რიცხვი დღითა დღე იზრდება. დღეიდან საბჭოთა მასწავლებელი მტკიცე კედელი ხდება საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობის საქმეში სოფლად. მიტინგის შემდეგ მასწავლებლობამ გამართეს რამოდენიმე საათის დემონსტრაცია ქუჩებში.

პარტიულ მომუშავეთა გამოყოფა კოოპერაციებისათვის.

კოოპერაციის განუწყვეტელი ზრდის გამო რკპ-ს ცეკამ დაადგინა გამოჰყოს კოოპერატიულ დაწესებულებებში სამუშაოდ 3.000 პარტმომუშავე.

1905 წლის მეოცე წლის თავისთვის.

რკპ-ს ცეკამ დაადგინა შეადგინოს კომისია, რომელმაც უნდა აწარმოოს მოსამზადებელი მუშაობა 1905 წლის მეოცე წლის თავის დღესასწაულის მოსაწყობად. ეს დღესასწაული დანიშნულია 20 დეკემბრისათვის.

1905 წლ. რევოლიუცია დამარცხდა იმიტომ, რომ მუშათა კლასი მოწყვეტილი იყო გლეხობაზე. ამისათვის ცეკამ დაადგინა—მიღებულ იქნას მეოცე წლისთვის ლოზუნგად პროლეტარიატის დაახლოება და კავშირი გლეხობასთან.

მორწმუნე კომანდირები.

სარწმუნოების წინააღმდეგ რეპრესიულ ზომებს ჩვენ არ ვიღებთ. არ ვიღებთ იმიტომ, რომ სარწმუნოება ეს პირადი საკითხია. ანტირელიგიოზურ კომპანიებს კი ვატარებთ. ეს კომპანიები გამოიხატება სარწმუნოების ცრუ ნიადაგზე აშენებისა. ჩვენ ვუხსნით ყველას, რომ სარწმუნოება გამოგონილია მღვდლებისა და ბერებისაგან ხალხის დასაბრმავებლად და დასაბეჩავად. ბრმა ხალხის მოტყუება კი ადვილია. მღვდლებიც სწორედ ასე შვებიან. გაუპრუებენ მლოცველს თავს ათასგვარ ალილოებით და მამაო ჩვენოებით.

მისდგებიან მერე და წუწნიან ნელა-ნელა თუ რამ გააჩნია თვინიერ სამწყსოს.

ჩვენ ჯარს ახალ ყაიდაზე ვზრდით.

მათ ვუხსნით და ვასწავლით სარწმუნოების არარაობაზე. თუ მოსვლისას წითელ არმიელი იყო ცრუმორწმუნე და ხატების მლოცველი, ყაზარმაში დროს მოთევის შემდეგ იგი ასეთი აღარ არის.

ასეთი წითელ არმიელი მტერთან დაპირისპირების დროს წმიდანებზე და ღმერთზე არ ლოცვილობს, ავგაროზის წინაშე არ სდებს ფიცს. იგი კლასიური თვითშეგნებით არის გატაცებული. მან იცის, რომ მუშათა კლასის მტერმა თუ დრო იხელთა ყველა მუშას და გლეხს ხახვივით შესჭამს, გაანადგურებს, დახვრეტს, აწამებს. მან იცის, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება წითელი ხიშტისაგან მოითხოვს დაცვას, შველას, გადარჩენას.

მამაცად და ფხიზლად იქნება წითელი ჯარი თავის სადარაჯოზე, კარგად იქნება ხელისუფლების საქმეც; წახდება წითელ არმიელი, წახდება საქმეც.

კომანდირს დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარისათვის. იგი მართავს და ბრძანებლობს თავის სამხედრო ერთეულს; უჩვენებს რომელ დროს როგორ მოიქცეს, რომელ დროს რა ქნას.

ეს ტეხნიკური მხარეა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ არის მეორე მხარე ამ მხარეზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი. ეს გახლავთ, თუ როგორი კაცია თვით კომანდირი როგორც კაცი, როგორც მოქალაქე და აი სწორედ აქ უპირისპირდებით ჩვენ კომანდირის სარწმუნოებრივ ცხოვრებას.

ის კომანდირი, რომელიც ყოველ კვირა უქმე დღეს ეკლესიაში დაიარება, რათა იქ ალილუიას ღიღინი მოისმინოს ვერაფერი სულიერი აღმზრდელი და მასწავლებელი იქნება წითელ არმიელისათვის. შეიძლება მას სამხედრო დარგში კარგი მომზადება ქონდეს, მაგრამ ამ მომზადებას ჩრდილს მიაყენებს მისი სარწმუნოება.

ჩვენს ჯარში უეჭველია ასეთი კომანდირები მოიპოვებიან.

როგორ უნდა მოვექცეთ მათ?

თავისთავად ცხადია, გაქირდვას და დაცინვას ჩვენ მას არ დაუწყებთ. მაგრამ მათ მიმართაც ზომები უნდა მივიღოთ, რათა სარწმუნოებრივ ბურუსიდან დავიხსნათ.

ასეთი ზომები უფრო მეტი იმედია გასჭრის, მაგრამ თუ მათ ვერ გასჭრეს მაშინ დაგვჭირდება სხვა ზომის მიღება: უნდა წითელ ჯარს მოსცილდეს მეტანიის და სანთლების ანთების მოყვარული კომანდირი.

ამას მოითხოვს უბრალო ჭეშმარიტება: კომანდირს მნიშვნელობა აქვს როგორც სამხედრო დარგში მომზადებულ პირს და აგრეთვე როგორც პირადი მაგალითის მიმცემს.

განიძე.

რადიო ყოველ მხრიდან

„მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგა".

მემარჯვენე გაზ. „უსი სომი" გადმოსცემს, რომ ივლისში მოწვეულ „მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგის" თათბირზე, პარიზში, მონაწილეობდა აგრეთვე ფინეთის წარმომადგენელი, რომელიც გაგზავნილი იყო „საზოგადოებრივ წესრიგის დამცველ" ორგანიზაციების მიერ.

ნორვეგიის პროფკავშირთა ყრილობა.

30 სექტემბრისთვის დანიშნულია ნორვეგიის პროფკავშირთა ყრილობა. მოსალოდნელია შეხლა კომუნისტებსა და ტრამპლისტებს შორის.

„კრასნოე ზნამია" პოლონეთის „ოხრანკას" შესახებ.

პოლონეთში განახლდა კომუნისტურ არალეგალური გაზეთის „კრასნოე ზნამია"-ს გამოცემა.

წერილში, რომელიც ეხება „ოხრანკის" (დამცველი რაზმის) საქმიანობას, აშკარავდება მისი პროვოკატორული როლი: „ოხრანკას" ყავს თავისი აგენტები ფაბრიკა-ქარხნების მუშათა შორის.

იმავე ნომერში დაბეჭდილია ცეკას ცნობა კომპარტიის ლოძის ორგანიზაციის დაშლაზე. ამ ორგანიზაციაში შეიპარა მრავალი პროვოკატორი, რომლებმაც იმსხვერპლა მრავალი ამხანაგი.

მუშური სოლიდარობა.

საფრანგეთის მაღაროს მუშათა გაერთიანებულ კავშირის კონფერენციის დადგენილებით ბელგიაში გაემგზავრა კონფერენციის დელეგაცია.

დელეგაციის ამოცანა გამოარკვიოს ადგილზე ბელგიის გაფიცულ სამთო-მადნო მუშათა მდგომარეობა. იმ შემთხვევაში, თუ რომ ბელგიის ც. კ. დაადგნენ საერთო გაფიცვების გამოცხადებას ბორინაჟის ყველა ნახშირის რაიონებში, საფრანგეთის სამთო-მადნო მუშები მხარს უჭერენ მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყაზანის სამხედრო საინჟინერო სასწავლებლის ქართველი კურსანტები მენშევიკების ბანდიტური გამოსვლების შესახებ.

ყაზანის სამხედრო საინჟენერო სასწავლებლის ქართველი კურსანტები ზიზღს უცხადებთ ბანდიტურ-ავანტიურისტულ გამოსვლებისათვის საქართველოს მენშევიკებს და მათ ამყოლ შავ რეაქციონურ თავად-აზნაურობას, მემამულეებს და სხვ.

მენშევიკებმა საკმაოდ გამოაშკარავეს თავისი კონტრრევოლიუციონური ბუნება ჯერ კიდევ საქართველოში მათი ბატონობის დროს. მათ დააქციეს მრავალი მუშისა და გლეხის სისხლი და გააღრმავეს ნაციონალური შუღლი ამიერ-კავკასიის ერთა შორის. ახალი ავანტიურა გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით უნდა დააწვეთ ამ ვაჟბატონებს თავზე.

უერთდებით რა ქართული წითელი ლაშქრის და მშრომელი ხალხის ხმას, მოვითხოვთ ყველა ბანდიტებისათვის მკაცრ სასჯელს.

საქართველოში არა ერთხელ დაურღვევიათ მათ მშრომელი ხალხის მშვიდობიანური ცხოვრება; ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს მათ თარეშს მშრომელი ხალხის ზურგზე.

ჩვენ ყოველ წუთში მზადა ვართ იარაღით გამოვიდეთ საერთაშორისო შავ ბურჟუაზიულ რეაქციისა და საქართველოში მათი მაჩანჩალების წინააღმდეგ.

ამხანაგების დავალებით

კურსანტი ალ. ტალახაძე.

5 სექტ. ქ. ყაზანი.

ვაშა ჩვენ მომავალ მეთაურებს.

მეორე ლეგიონში ორშაბათ საღამოს მოწვეულ იქნა წითელ არმიელების საერთო კრება.

ჩვენი სამხკომი აცნობს ამხანაგებს კრების მიზანს, რომელიც შეეხება უფროს მეთაურთა სკოლას.

ამხ. ბერიძის სიტყვამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია.

გაჩაღდა წითელ არმიელების შორის საუბარი.

მაგრამ აი სამხკომი აცხადებს:

„ამხანაგებო, ვის გაქვთ სურვილი, რომ გახდეთ წითელი მეთაური?

— აბა მსურველებმა ასწიეთ ხელი!.

თითქმის ყველანი გულის ფანცქალით და რაღაც გამოუთქმელ სიხარულით იშვერენ ხელებს.

ყველას სურს შეიძინოს სათანადო ცოდნა-გამოცდილება და მით თავისი წვლილი შეიტანოს წითელი ჯარის აღმშენებლობის საქმეში.

დაიწყო ამხანაგების ჩაწერა. გაიჭიმა რიგი და ყველა მიემართება სიაში ჩასაწერად.

არ მოველოდით ასეთ ერთსულოვნებას. სამხკომი ესალმება ამხანაგების ასეთ სურვილს.

ცხარე ტაშით და ვაშას ძახილით იფარება ამხ. ბერიძის სიტყვები.

სალამი მშრომელი ხალხის ოჯახებიდან გამოსული მომავალ წითელ მეთაურებს!

განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა წითელ არმიის რიგები და ბოლო მოვლოთ მშრომელი მასების მონობას კაპიტალისადმი.

შენი ვარ.

ენერგიული მუშაკი.

ქართულ მეთაურთა გაერთიანებულ სკოლაში არსებობს წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

სამკითხველო სამაგალითოდ არის დაყენებული.

სისუფთავე, სიწყნარე, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთების სიმრავლე, გამგის მუყაითობა—აი რა გეცემათ თვალში, როგორც კი ფეხს შესდგამთ შიგ.

ცხადია, კურსანტებსაც არ დაეზარებათ ასეთ სამკითხველოში სიარული, რაც სისტემატიურად ხდება მეცადინეობის შემდეგ თავისუფალ საათებში.

სამკითხველოს გამგე ამხ. ლალიაშვილი ყოველ დღიურად პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. ის ძლიერ დაინტერესებულია ჩვენი სამკითხველოს სასურველ სიმაღლეზე დაყენებით.

ვერ დაინახავთ ამხ. ლალიაშვილს, რომ ერთი წუთი უსაქმოთ იჯდეს, ის ყოველთვის სამკითხველოს საქმეებით არის დატვირთული და მუშაობს ენერგიულად.

ჩვენი გულწრფელი მადლობა ამხანაგს სამკითხველოს ასეთი ყურადღების მიქცევისათვის, რომელიც ჩვენც ძლიერ გვიზიდავს განვითარებისაკენ, რომ უფრო შევსძლოთ საერთო საქმეში ჩვენი მცირედი წვლილის შეტანა მაინც.

არჩუაშვილი.

მენშევიკების ავანტიურა და წითელი არმია.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და დაგვიმტკიცებია მშრომელთათვის, რომ მენშევიკურმა პარტიამ თავის „რევოლიუციონური“ სინდისი და მარქსიზმი ანაცვალა მუშათა კლასს და მიყიდა ბურჟუაზიასთქო. ეს ჩვენი მტკიცება ზოგიერთ ურწმუნო თომებს არ სჯეროდათ. მაგრამ ამ უკანასკნელმა მენშევიკების ავანტიურამ ნათლად დაანახვა მუშათა კლასს მენშევიკების „საქმიანობა“, რის შემდეგ არავითარი ეჭვი არ დარჩენიათ არავის მათ გახრწნილებაში და სრულ გაკოტრებაში.

უკანასკნელ გამოსვლებით მენშევიკებმა თვით ჩაიკრეს სასიკვდილოდ დანა გულში.

მე ერთი მოწამეთაგანი ვარ მათი ავანტიურის, რომელიც მალე ძირშივე ჩაკლა ქართულ წითელ ლაშქრის ხიშტმა. ეს ავანტიურისტ „რევოლიუციონერები“ არწმუნებდენ ღარიბ გლეხობას, რომ საქართველო გავანთავისუფლეთ „მოძალადე“ კომუნისტებიდან; თბილისი აიღო ქართველმა ჯარმა, ქუთაისი აიღო სვანეთმა, ბათუმში ინგლისის ჯარები შემოვიდა, ჟორდანია დამფუძნებელ კრების წევრებით ბათუმში არის და თუ არ გამოხვალთ და არ დაგვეხმარებით ყველას დახვრეტთო.

ესენი უთითებდა ჩემზედ, ვ. სტურუაზედ, რუბენაზედ და სხვა ამხანაგებზედ, როგორც ვითომდა თბილისიდან გამოქცეულ მინისტრებზე

ასეთმა პროვოკაციულმა გამოსვლებმა მართლაც ნახევრად დააჯერა ნაწილი გულუბრყვილონი გლეხები და გაებენ ავანტიურის ქსელში. მაგრამ მწარეთ მოსტყუვდენ. სულ მალე გამოჩნდა ის წითელი-არმია, რომელსაც მათი თქმით ტფილისი აეღოთ და მენშევიკებისათვის გადაეცათ.

სწორეთ ამ არმიამ ჩაკლა მათი ავანტიურა და თვით ხელმძღვანელებიც დააკლა ზედ.

ტყუილად არ მეუბნებოდა ერთ ერთი მცველი, რომელიც მდარაჯობდა ტყვეობის დროს. რა გვეშველებაო. ჩემ შეკითხვაზე თუ რაში იყო საქმე, მან მიპასუხა, რომ ნამდვილათ მოტყუებული ვართო, ჩვენს რაზმში ბალდათელი ვაჭრები და თავად-აზნაურობა ურევიაო.

მე დავარწმუნე, რომ მათი გამოსვლა ეს იყო გლეხების და მუშების წინააღმდეგ ბრძოლა და რომ ისინი არ უნდა აყოლოდენ ამ არამზადებს მეთქი, თან დაუმატე მალე ჩვენი ჯარები მოვლენ და მაშინ დაინახავთ სიმართლეს მეთქი. მართლაც მალე მოვიდა ჩვენი ჯარი და აჩვენა თავის მაგარი მკლავი მენშევიკურ ავანტიურისტებს.

დღეს ყველა მშრომელმა გლეხობამ კარგათ იცის, თუ ვის საქმეს აკეთებს მენშევიკები და ისიც დაინახა თუ ვის ინტერესს იცავს ჩვენი წ. არმია.

ჩვენი წითელმა არწივებმა თავგანწირულ ბრძოლით ბანდიტების წინააღმდეგ ნათლად დაამტკიცეს მუშურ-გლეხური მთავრობის ერთგულება. მათი თავდადება და საქმისათვის ერთგულება დაამტკიცეს მით, რომ იმათმა გადაუვალი სალი კლდეები გაიარეს და რისხვას სცემდენ მტრებს.

ამ ოპერაციების დროს, ჩვენმა მხედრებმა დაამტკიცეს მხედრული თვითშეგნება. მათ გლეხებისათვის არავითარი ზარალი არ მიუყენებიათ.

გლეხს ამ შემოდეგზედ ერთი მტევანი ყურძენი არ დაკლებია ისე მშვიდობიანათ გაწმინდა ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა ბანდების მიერ დაკავებული სოფლები და თვითონაც მშვიდობიანათ დაბრუნდა თავის წითელ ყაზარმაში.

წითელი ჯარის განვითარების სამი პერიოდი.

წითელი ჯარის ისტორია ჩამოყალიბდება სამ ძირითად მომენტში.

პირველი პერიოდი მოითხოვდა ძალა-უფლების ბ.ბ. კერენსკის, წერეთლის და სხვა შემთანხმებლების, ხელიდან გამოგლეჯას და მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა საბჭოებზე გადაცემას და მის დაცვას.

ამ ამოცანების შესასრულებლად საჭირო იყო რევოლიუციონურ დინამიკით გამსჭვალული, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფების გამოყენება,

საჭირო იყო ჯარიდან პროლეტარიატის მესვეურ კომუნისტურ პარტიას განედევნა ტრადიციულ ბურჟუაზიული წესები და სხვა და სხვა სახის დარჩენილი სიბინ ურე.

როგორ მოახერხა ყოველივე ეს მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ? ან სწრაფად შეაკავშირა რევოლიუციონურად მოაზროვნე ელემენტები. მონათლა წითელი გვარდიის ხელით, რომლებმაც ერთის დაკვრით გაანადგურეს ბ. კერენსკის ბურჟუაზიულ-კოალიციონური წესწყობილება. გამოგლიჯა ძალა-უფლება ხელიდან ბურჟუაზიას და გადასცა საბჭოებს.

ჯარში იქნა შემოღებული არჩევნების წესი, ამან ითამაშა დიდი როლი არა მარტო პირველ ხანებში, წითელი გვარდიის არსებობის დროს, არამედ ჯარის რეგულიარულ წითელ არმიათ გარდაქმნის დროსაც.

ამ მოვლენამ მოგვცა კონტრევოლიუციონერების ნამდვილი სახე, გავიგეთ ვინ იყო მტერი, ვინ მოყვარე.

მოხალისეები, რომლებიც დღითი დღე მოელოდნენ სახლში დაბრუნებას, თანდათანობით კარგავდნენ რევოლიუციონურ ბრძოლის, სამოქალაქო ომის გაგრძელების უნარიანობას.

როდესაც რევოლიუციის ცეცხლი გუზგუზებდა, როდესაც რევოლიუცია განსაცდელში იმყოფებოდა, ისინი უფროსების არჩევანში იყვნენ გართულნი.

მუდმივად ასეთი ჯარის არსებობა შეუძლებელი იყო, მით უმეტეს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ახლად შობილ საბჭოთა რესპუბლიკას, ცეცხლის ალი გარს ეხვეოდა.

ცხოვრების სინამდვილე მოითხოვდა ჯარის აგებულობის სულ სხვანაირ წესს,—ჯარს რკინის დისციპლინით აღჭურვილს.

მეორე პერიოდი ჯარის განვითარებაში არის მისი პირველ გაწვევისთანავე რეგულიარულ არმიად გადაქცევა.

ლოზუნგი წითელი ჯარის დაარსების შესახებ, მიუხედავად სასტიკი გამოლაშქრებისა სხვა და სხვა კონტრრევოლიუციონურ პარტიების მხრივ, (მემარჯვენე ესერების, მენშევიკების და სხვა), დაუყონებლივ ტარდება ცხოვრებაში.

ეს მტკიცე ნაბიჯი ცხოვრებამ გაამართლა, ოქტომბრის რევოლიუციამ გაიმარჯვა.

ვის არ ახსოვს დენიკინის, ვრანგელის, იუდენიჩის და სხვა იმპერიალიზმის აგენტ-დამქაშების გამოლაშქრება მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ ყველა ამ დაბრკოლებებს სძლია იდეიამ, იდეიურმა ჯარმა, რევოლიუციონურ გამბედაობით აღჭურვილმა.

პროლეტარიატმა გაიმარჯვა, მშრომელმა ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა.

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც რომ არ ისმის არავითარი ხმები კონტრრევოლიუციის „გმირულ“ მოქმედების შესახებ.

მათ დაკარგეს იმედი გამარჯვებისა, დარწმუნდნენ, რომ მუშათა კლასი ძალაუფლებას იოლად არავის დაუთმობს. იმის მეტი არაფერი არ დარჩათ, რომ საზღვარ-გარედ გაქცეულიყვნენ, სადაც ნაწილი იმპერიალისტურ სახელმწიფოების ჯარში შევიდნენ.

ამ ჟამად, როდესაც საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ჩამოყალიბდა ნორმალური ცხოვრება, მუშები და გლეხები საბჭოთა ხელისუფლებას კანონიერად უყურებენ, როგორც საკუთარ ხელისუფლებას, როგორც მათ ინტერესების ნამდვილ დამცველს.

საბჭოთა მუშურ-გლეხური ხელისუფლება თავის მხრივ ცდილობს აღამაღლოს სოფლის მეურნეობის და ქალაქის მრეწველობის განვითარების დონე.

ამ დიად საქმეში ნაწილობრივ დახმარებას გაგვიწევს წითელ ჯარში ტერიტორიალურ სისტემის შემოღება, რომელიც არის მესამე და უკანასკნელი საფეხური ჩვენი მუშურ-გლეხურ არმიის განვითარებისა.

ის არ შორდება ყოველდღიურ მუშურ-გლეხურ ყოფა-ცხოვრებას.

ტერიტორიალური ჯარის გუნდების, ლეგიონების და დივიზიების მეცადინეობა შეთანხმებულია ფაბრიკა-ქარხნებში, რაიონებში და სოფლებში, მეურნეობა-მრეწველობის შრომის წარმოებასთან.

ტერიტორიალურ-მილიციონური ჯარით დაქსელილი იქნება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეები, ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირებით.

ტერიტორიალური სისტემის შემოღებით ჯარში იქნებიან მხოლოდ არსებული ხელისუფლების წარმომადგენელნი, მშრომელნი ხალხი, რომელნიც შრომასთან დაუშორებლად შეასრულებენ სამხედრო ვალდებულებას, ჯარი მაშინ ღებულობს კლასსიურ სახეს. ასეთი მილიციონური სისტემის დროს სამხედრო პოლიტიკური მეცადინეობის, კულტურულ მუშაობის წარმოება იქნება დაყენებული განსაკუთრებულ განვითარების მაღალ დონეზე.

კლასიური ჯარი მომზადებული და მოწყობილი იქნება სამხედრო ხელოვნებით უკანასკნელ სიტყვის მიხედვით. სამხედრო დარგის ხელოვნების თვალსაჩინო სიმაღლემდე აწევაზე კლასიურ პროლეტარულ ჯარში უნდა იფიქროს და იმოქმედოს, როგორც პარტიამ, აგრეთვე მთელმა მშრომელმა მასსამ, ამას მოითხოვს ისტორიის მსვლელობა. ხშირად, ამ ისტორიულ მოვლენას ისე ამახინჯებენ ჩვენი მტრები, რომ მართლა ზოგჯერ პოლიტიკურად მოუმზადებელ პირებს შეუძლია იფიქროს, რომ ბოლშევიკები ჯარს ამაგრებენ, ჯარში სამხედრო ტეხნიკას აუმჯობესებენ და რკინის დისციპლინა აქვთ შემოღებული.

და ყოველივე ეს რა არის თუ არა მილიტარიზმი სვამენ კითხვას ფილისტერები. ცხადია, ისინი ან განზრახ სვამენ ასეთ კითხვას ან კიდევ ცდებიან.

შეიძლება მართლაც იყოს სრული შეიარაღება, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია, რადგან საბჭოთა ხელისუფლების რეჟიმი, რომელსაც ემსახურება წითელი არმია არის სასტიკი ანტიმილიტარისტული, უსასტიკესი მებრძოლი ომის წინააღმდეგ, მხოლოდ ეს ბრძოლა მან უნდა აწარმოოს ჯარის საშვალებით.

ასე რომ გამოვთქვავთ, „ბოლშევიკების მილიტარიზმი“, მიმართულია საერთო ბურჟუაზიულ მილიტარიზმის წინააღმდეგ, რომელიც კაპიტალის საშვალებით ანვითარებს ტეხნიკას და ქიმიას, კაცობრიობის ამოსაჟლეტათ.

აქედან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: წითელ ჯარმა კონტრრევოლიუციის ქარცეცხლში გაატარა ორი რევოლიუციისათვის და მშრომელი მასისათვის გადამწყვეტი ეტაპი და გადადგა ფეხი მესამეში. მესამე პერიოდი, რომელსაც ეწოდება ტერიტორიალური — მილიციონური სისტემა ჯარში არის გზის გამკაფველი იარაღი, პროლეტარიატის დიქტატურიდან კომუნიზმამდე. მისი მეოხებით იქნება მოსპობილი გამყვლეფელების და სოციალისტ გამყიდველების, მშრომელთა მასების წინააღმდეგ მიმართულ, მილიტარიზმი.

შ. წითლიძე.

ვუსურვოთ ჩვენს წითელ არმიას მხნეობა და კიდევ მეტი ერთგულება მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისადმი.

გაუმარჯოს ჩვენს წითელ ჯარს და მის წითელ მეთაურებს!

ს. ლ.

როგორ იარაღდებიან კაპიტალისტური ქვეყნები.

ახალი მძიმე ტანკა

ვიკერის ქარხანას (ინგლისში) ინგლისური არმიისათვის შეუკვეთეს 23 ახალი მძიმე ტანკები. თავისი საბრძოლო ღირსებით ეს ტანკები ითვლებიან საუკეთესოთ და ამავე დროს უმძიმეს ტანკებათ აქამდე არსებულთა შორის.

ტანკას სიგრძე უდრის 10 სამეოთხედ მეტრს ანუ ხუთ საჟენზე მეტს. ტანკის მოქმედების რადიუსი საწვავ მასალის ხელახლად მიუწდომელად აღწევს 1.600 კილომეტრს.

აქამდე კი მძიმე ტანკების მოქმედების რაიონი უდრიდა 100 კილომეტრს. ამიტომ ახალი ტიპის ტანკები არა თუ საუცხოვოდ იმოქმედებენ ბრძოლის დროს ფრონტებზე, არამედ რამოდენიმე ასეული ვერსით შეუძლია შევიდეს მოწინააღმდეგის ჯარების ზურგში.

ტანკის სიჩქარე საათში უდრის 38 ვერსს. შეიარაღებულია ორი ქვემეხით და ტყვიამფრქვევებით. ამის გარდა ტანკაში შეიძლება მოთავსებული იქნეს მსუბუქი ქვემეხიც.

მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევის დროს ქვემეხი ან ფეხოსანი ჯარი ამოქმედდება ზურგიდან.

თავისი მოძრაობის სიჩქარისა და მოქმედების ხანგრძლივობის გამო, ახალი ტიპის მძიმე ტანკა გამოსადეგია ყოველგვარი შეიარაღებული ჯარების წინააღმდეგ და ყოველ მანძილზე.

ქვემეხები და ქვეითი ჯარი, რომელიც გადაყავს ტანკას, ხელს უწყობენ ზურგში მოწინააღმდეგის დაცემას, შეაქვთ მათ შტაბებში არევდარევა და ამნაირად აფერხებენ ზურგის ნაწილების გეგმაშეწონილ მუშაობას.

ფრანგული შორს მსროლელი ქვემეხი. (ზარბაზანი)

ქალაქ გაგრში (საფრანგეთში) გამოსცადეს ახალი შორს მსროლელი ქვემეხი, რომელიც დამზადებული იქნა ქალაქ რუელში. ქვემეხის (ზარბაზნის) სიგრძე უდრის 21 მეტრს (10 საჟენი). იწონის 78 ტონს ანუ 4.836 ფუთს.

ხსენებული ზარბაზნის ჭურვი იწონის 414 კილოგრამს (26 ფუთი) ჭურვის გასროლის მანძილი უდრის 96 კილომეტრს ანუ 90 ვერსს.

საფრანგეთში ეს პირველი ქვემეხია, რომლის გასროლის სიშორე უდრის თითქმის 100 ვერსს.

მსოფლიო ომის დროს გერმანელებს ქონდათ ისეთი ქვემეხი, რომლის საშვალებითაც 130 ვერსის მანძილიდან ესროდა პარიზს. ამერიკის არმია კი ამ ჟამად შეიარაღებულია ისეთი ქვემეხებით, რომელთა გასროლის მანძილი უდრის 140 ვერსს.

საფრანგეთი აუარება თანხებს ხარჯავს ახალი სამხედრო იარაღების გამოგონებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

საფრანგეთი გაცხოველებულ მუშაობაშია, რომ თავისი არტილერიის განვითარებით, როგორმე დაეწიოს ამერიკას.

ნარევი.

კოლუმბის მოგზაურობის დღიური.

8 წლის წინად მექსიკის (ამერიკაში) სანაპიროებზე ზღვის ტალღებმა გამოაგდო დაბეჭდილი ბოთლი, რომელშიდაც აღმოჩნდა ხრისტოფ კოლუმბის ჟურნალი.

ჟურნალი შედგენილია კოლუმბის ყოველდღიური ცნობებისაგან მისი ხომალდით მოგზაურობის დროს.

ვინ იყო ხრისტოფ კოლუმბი?

ქალაქ გენუის მცხოვრები, უდიდესი მოგზაური და ახალი ქვეყნის —ამერიკის პირველად აღმომჩენი.

კოლუმბს მოგზაურობისათვის სუფსიდიას აძლევდა ესპანეთის მთავრობა და ამიტომ ამერიკის აღმოჩენა —უმთავრესად დაკავშირებულია კოლუმბის სახით ესპანეთთან.

ხსენებულ ჟურნალში, რომელიც რვა წლის წინად გამოუგდია ზღვის ტალღებს მექსიკის სანაპიროებზე, ამუდიდეს მოგზაურს აღუნიშნავს ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენები, რომელიც დაკავშირებული არიან ამ ახალი ქვეყნის აღმოჩენასთან და რომელიც კოლუმბისავე აზრით ძველი ინდოეთის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს.

როდესაც კოლუმბი დაბრუნებულა ამ ახალი ქვეყნიდან უკან მოგზაურობის დროს, ეგრედ წოდებულ აზორიის კუნძულებთან მოუსწრია ძლიერმა ქარიშხალმა. კოლუმბს დაუჩქარებია ჟურნალის შევსება, ჩაუდევს ბოთლში, დაუბეჭდია ისე, რომ წყალი არ შესულიყო და გადაუგდია ზღვაში.

ზღვამ კი ეს მეტად საინტერესო საბუთი კაცობრიობას დაუბრუნა უკან სამასი წლის შემდეგ.

სამასი წლის განმავლობაში ბოთლი დასცურავდა ზღვაში და ინახავდა ამ მეტად მნიშვნელოვან მოგზაურობის დღიურს.

ბოთლი იპოვეს მექსიკანელ მეთევზეებმა, რომლებმაც ერთ ერთ ამერიკელ ფერმერს მიჰყიდეს დიდ ფასში. ეს უკანასკნელი კი დღესაც ფრთხილად ინახავს ამ უძვირფასეს განძს.

ამ ჟამად მექსიკის მთავრობამ გადასწყვიტა შეიძინოს ეს ჟურნალი სახელმწიფო მუზეუმისათვის და მოახდინონ მისი დაწვრილებითი შესწავლა.

ამბები სოფლებიდან.

ტელეფონი სოფლად.

ოზურგეთის რაიონულმა აღმასკომმა გადასწყვიტა გაიყვანოს ტელეფონი სოფელ სილვურში (გურია).

გლეხთა კომიტეტები და კოოპერაცია.

დუშეთის მაზრის გლეხკომებმა გადასწყვიტეს აღარ დაარსონ თავიანთი სავაჭროები, არამედ ხელი შეუწყონ და გააძლიერონ საერთო კოოპერაცია „ეპოები“.

გლეხებს გაჰყავთ შარა-გზა.

ჯუმათ სილვურს შორის შარა გზის გაყვანა გადასწყვიტეს დაინტერესებული თემების მცხოვრებლებმა. ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი მათ შეპირდათ ტექნიკურ დახმარებას.

სათევზაო ადგილის გადაცემა გლეხკომისათვის.

გურიის სამაზრო გლეხკომმა იშუამდგომლა, რათა გადასცენ მას ე. წ. შეკვეთილის სათევზაო ადგილი საექსპლოატაციოთ.

კბილის საექიმოები გლეხებისათვის.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა დაგზავნა ნაგომარის, ნატანების და საჰამია-სერის კბილის საექიმო პუნქტებში ექიმები, რომ უფრო კარგათ სწარმოებდეს ექიმობა გლეხებისათვის.

გლეხთა დამხმარე უჯრედები.

დუშეთის მაზრაში დაარსდა გლეხთა დამხმარე უჯრედი, რომელშიაც შედიან ყველა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

თათბირი გლეხკომების საქმიანობაზე.

29 სექტემბერს დუშეთში მოწვეულია რაიონულ გლეხკომების თავმჯდომარეთა თათბირი, მაზრის გლეხკომების მუშაობის გაშუქების მიზნით.

ღარიბი ჩავლადრები.

გურიაში მომუშავე ღარიბი ჩავლადრები განთავისუფლებულ იქნენ გადასახადისაგან სამაზრო აღმასკომის მიერ.

ახალი ამბები.

— **სამხ. ტრიბუნალში.** 22 სექტემბრისათვის დანიშნულია საკავშ. ასეულის წით. არმიელების დიმიტრი ტყეშელაშვილის და ბიქტორ თოდუას საქმეები. ბრალდებათ სახაზინო ქონების გაფლანგვა და დეზერტირობა.

— **ჯარმა შეაკეთა თეატრი.** კავკასიის № მსროლელთა ათასეულმა შეაკეთა მანგლისის თეატრი, აღნიშნული ხარჯების დასაფარავათ ქალ. აღმასკომმა გადასცა 1.098 მანეთი.

— **ქუთაისის საქსოვი ქარხანა.** ეკონომ. საბჭოს გადაწყვეტილებით ქუთაისის საქსოვი ქარხანა ოფიციალურათ გაიხსნება 28 სექტემბერს.

— **მოუსავლიანობასთან ბრძოლა.** საქ. ეკონ. საბჭომ დაარსა მოუსავლიანობასთან მებრძოლი კომისია, რომელიც გამოიკვლევს მოუსავლიან რაიონებს.

— **მოძრავი კინო.** ტფ. პოლიტგანათლების განყოფილებამ შეიძინა მოძრავი კინო—აპარატი ტფილისის მაზრის სოფლებში კინო—სურათების საჩვენებლათ.

— **სეზონი ქართულ-თეატრში.** წელს სეზონი ქართულ დრამის თეატრში გაიხსნება 18 ოქტომბერს შანშიაშვილის პიესა „ლატავრა“-თი.

— **წარმოების განაყოფიერებისათვის.** 16 სექტემბერს შესდგა ტრამვაის კვალიფიციურ მუშათა თათბირი მუშაობის განაყოფიერებისათვის ზომების მისაღებად.

— **ბრძოლა ვენერიულ ავადმყოფობასთან.** ტფ. დამზღ. კასამ გადასწყვიტა მიიღოს ზომები დაზღვეულთა შორის ვენერიულ ავადმყოფობის მოსასპობლად.

— **მარილის გასაიაფებლად** შინა ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა მიიღოს ზომები მარილის გასაიაფებლად.

რა აინტერესებს ჩვენს არმიელებს.

საუბარი მასწავლებლისა და წითელ არმიელებ შორის.

ჩვენი წითელ არმიელები ძლიერ დაინტერესებული არიან ცოდნის შეძენით.

მარტო წერა-კითხვის შესწავლით არ კმაყოფილდება მათი ცნობის მოყვარეობა.

მაგალითად, ისინი ძლიერ ადევნებენ თვალყურს ბუნების ძალების მოქმედებას და ეძებენ, აინტერესებთ მათი გასაღები.

ერთ დღეს, როდესაც ნაწილში ყველა ისვენებდა, ერთმა წითელ არმიელმა შეუყარა თავი რამოდენიმე ამხანაგებს და გამოეშურენ ჩემსკენ.

მე მივხვდი, რომ მათ რაღაცის კითხვა უნდოდათ და მოვემზადე მესარგებლა თავისუფალი დროით და გამემართა მათთან საუბარი.

ასედაც მოხდა. არმიელები მომიახლოვდენ თუ არა, ერთი მათგანი წამოდგა წინ და ცოტა გაუბედავად შემეკითხა:

— ამხ. მასწავლებელო! უკაცრავად კი ვარ, რომ შეგაწუხეთ, მაგრამ ერთი ორიოდე საკითხი გვაქვს და არ შეიძლება რომ აგვიხსნა?

მე გულწრფელად გამეცინა მის ასეთ მორიდებაზე და თან უპასუხე, რომ მე ყოველთვის მზად ვიქნები დავაკმაყოფილო მათი ცნობის მოყვარეობა.

— მაშ, ჯერ ერთი უნდა გკითხო; დღე და ღამე თვალს ლული არ მომდის, სულ იმას ვფიქრობ, როგორ ხდება ის მოვლენები, აი სკოლაში, რომ გველაპარაკებიან.

მაგალითად, გუშინ ღამ შაქრის ნატეხს დანა დავკარი და უცბად ცეცხლი გაუშვა.

ძალიან მაკვირვებს ეს. ნეტავი რატომ მოხდა?

ეს სულ უბრალო მოვლენაა.

თუ გახსოვთ მე მქონდა თქვენთან საუბარი, თუ როგორ აღმოაჩინა ძველად ადამიანმა ცეცხლი.

მაშინ აგიხსენით, რომ სხვა და სხვა საგნების ერთმანეთზე ხახუნით ჩნდება ცეცხლი.

აქ გასაკვირი არაფერია. დანა ფოლადისაგან შესდგება, შაქარი კიდევ მაგარი ნივთიერებაა. შეეჯახა ორი მაგარი ნივთიერება ერთმანეთს და გაჩნდა ცეცხლი.

ეგ ჩვენც ვიცოდით, მასწავლებელო, მარა აბა რას ვიფიქრებდით, რომ შაქარიც ცეცხლს გააჩენდა!

სთქვა არმიელმა და ამხანაგებს მიუბრუნდა, რომლებმაც კმაყოფილების გამომხატველი სიცილი ასტეხეს.

— კიდევ უნდა შეგეკითხოთ მასწავლებელო, შეიძლება? ჩემმა თანხმობამ კიდევ უფრო გაახარა ისინი.

— აი მასწავლებელო, მეხრეობის დროს, როდესაც ღამით საქონელს მივერეკებოდი ხოლმე და მათთვის სახრე გადამირტყავს, ხშირად შემიმჩნევია, რომ ნაპერწკლები გაჩენილა. მე ძლიერ მაფიქრებდა ეს, მაგრამ სხვასთვის ვერ გამეხილა. მშიშარობაში ჩამომართმევდენ.

გუშინ ღამითაც ცხენს ხელი გადაუსვი და აქაც ცეცხლი გაჩნდა— ძლიერ შემეშინდა კი მასწავლებელო, ხელი არ დამეწვას მეთქი.

მე აუხსენი არმიელებს, რომ ეს მოვლენაც ხახუნის ნიადაგზე ჩნდება.

რომ თქვენ ხელი არ გადაგესვათ ცხენისათვის, ან მეხრეობის დროს სახრე არ გადაგერტყათ საქონლისათვის, ცხადია ვერ შეამჩნევდით ამ მოვლენას, მაგრამ დარტყმაცა და ხელის გადასვება ამ შემთხვევაში—იგივე ხახუნია, ხახუნი კი, როგორც აგიხსენით ცეცხლს იწვევს, მაშასადამე აქ გასაკვირი არაფერი ყოფილა.

არმიელმა ქეჩო მოიქექა და ისევ ჩაფიქრდა.

შემდეგ მეორე წამოდგა წინ და შემეკითხა:

— ამხ. მასწავლებელო, ეგა თქვენც იცით ალბათ, რომ არმიელებს იღებენ მეთაურთა სკოლაში. მხოლოდ საჭიროა ქართულის კითხვა კარგად იცოდე და ოთხი მოქმედება.

მე ყველა კარგად ვიცი; რომ ჩავეწერო და წავიდე, შევსძლებ კია იქ მეცადინეობას?

ეგ კი უკვე შენზეა დამოკიდებული. თუ ადამიანმა რაიმე მოინდომა და აინტერესებს შეუძლებელია, რომ არ შეასრულოს.

საქმე სურვილი და მონდომებაა. თქვენ საკმაო ცოდნა გაქვთ შეძენილი ამისთვის, თუ წახვალთ და ისეთივე გულმოდგინეთ და მუყაითად იმეცადინებთ, როგორც აქ ლეგიონში მეცადინეობდით, გარწმუნებთ, რომ საუკეთესოდ შესძლებთ და კარგი წითელი მეთაურებიც გამოხვალთ. საბჭოთა ხელისუფლება უფრო დაინტერესებულია თქვენისთანავე ღარიბი ოჯახებიდან გამოსული მშრომელი ხალხის შვილებით.

წითელი არმია მუშებისა და გლეხების შვილებისაგან შესდგება, ის იცავს მუშების, გლეხების და ყველა დაჩაგრულთა ინტერესებს. როდის შეასრულებს სასურველად ის ამ დავალებას? ცხადია მაშინ, როდესაც მისი მეთაურები იქნებიან ისევ მუშები და გლეხები.

ასეთები კი თქვენ ხართ. თქვენგან საუკეთესო მეთაურები გამოვლენ და ამიტომ ნუ დააყოვნებთ და ჩაეწერეთ კურსანტთა სკოლაში წასასვლელად.

— მეტი შეკითხვა აღარ გვაქ ამხ. მასწავლებელო, ჩვენ ძრიელ გვასიამოვნა თქვენთან საუბარმა. ეგ წაველ სკოლაში და თუ კარგი მეთაური გამოვედი—მადარიჩი ჩემზე იყოს აი.—ჰაი, ჰაი რომ იქნება.

ეხლა კი წავიდეთ გიორგა, თორემ მგონი კიდევაც დაიწყო პოლიტსაათი, შამოუძახა ერთმა.

— გმადლობთ ამხ. მასწავლებელო, გმადლობთ!

არმიელები გაეშურენ პოლიტსაათის მოსასმენად.

მასწავლებელი ქალი.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1.500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ჰუაჩიძე